,სსიპ – შემოქმედებითი საქართველო

კონკურსი
„ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა განათლების ხელშეწყობა“

კონკურსის დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია:

ა) უმაღლესი სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

ბ) თანამედროვე ხელოვნების განვითარებაში ჩართულობა;

გ) ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა მოტივაციის გაზრდა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

2.1 კონკურსის ფარგლებში მიიღება განაცხადები (პროექტები) საქართველოსა და უცხოეთში არაუმეტეს ერთი აკადემიური წლის ვადით აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა (შემდგომ - კონკურსანტი) ხელშესაწყობად.

2.2 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პროექტი შესაძლებელია დაფინანსდეს სრულად ან ნაწილობრივ.

2.3 საქართველოსა და უცხოეთში აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ხელშეწყობის მიზნით, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს 18-იდან 35 წლამდე ასაკის ფიზიკურ პირს, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სწავლობს ან ჩაირიცხა:

ა) საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) უცხოეთის სასწავლებელში საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და მოპოვებული აქვს შესაბამისი სასწავლებლის თანადაფინანსება, არანაკლებ 25 %-ისა. ეს პირობა არ ეხება იმ კონკურსანტებს, რომლებიც ჩარიცხული არიან უფასო აკადემიურ პროგრამაზე და გადასახდელი აქვთ მხოლოდ ადმინისტრაციული რეგისტრაციის საფასური (მისი არსებობის შემთხვევაში).

2.4 აღნიშნულ კონკურსში კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.

2.5 საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი. ქართულ ენაზე თარგმნილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით. საჭიროების შემთხვევაში სსიპ შემოქმედებით საქართველოს (შემდგომ - შემოქმედებითი საქართველო) შეუძლია კონკურსანტს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2.6 საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადით გათვალისწინებული პროექტი უნდა მოიცავდეს 2025-2026 წლების სასწავლო პერიოდს.

2.7 შემოქმედებითი საქართველოს მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი ჯამური **ბიუჯეტია 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი**.

2.8 დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

2.9 კონკურსში უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს კონკურსანტს:

ა) რომელმაც წარმატებით დაამთავრა ბაკალავრიატი და სურს საზღვარგარეთ, უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებელში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება;

ბ) ეუფლება უმაღლესი სახელოვნებო განათლების რეფორმით განსაზღვრულ დეფიციტურ, მოთხოვნად პროფესიას.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

3.1 კონკურსში მონაწილეობისთვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) **განცხადება პროექტის დაფინანსების თაობაზე** (დანართი №1) შემოქმედებითი საქართველოს დირექტორის (შემდგომ - დირექტორი) სახელზე, ,,კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

ბ) **საპროექტო განაცხადი** (დანართი №2.1 და №2.2) „კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად; განმცხადებელი ვალდებულია საპროექტო განაცხადი, კერძოდ, ამ წესის №2.2 დანართი წარმოადგინოს როგორც კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმოწერილი ფორმით, ასევე, ელექტრონული სახით (Microsoft Excel-ის ფორმატში);

გ) ინფორმაცია პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შესახებ და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მისი არსებობის შემთხვევაში);

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) კონკურსანტის საბანკო რეკვიზიტები;

ვ) უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ პროგრამებზე სწავლის საფასურის ან სწავლის საფასურისა და სწავლასთან დაკავშირებული/საყოფაცხოვრებო ხარჯის[1] დაფინანსების მოპოვების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ვ.ა) სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში);

ვ.ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის შემთხვევაში);

ვ.გ) იმ უმაღლესი სასწავლებლის რეკომენდაცია, სადაც ამჟამად ირიცხება;

ვ.დ) უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლიდან ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი სწავლის საფასურის, ჩარიცხვის პირობებისა და თანადაფინანსების (არსებობის შემთხვევაში) თანხის ოდენობის მითითებით;

ზ) მხოლოდ სწავლასთან დაკავშირებული/საყოფაცხოვრებო ხარჯის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის სასწავლებელში ჩარიცხვისა და სწავლის დაფინანსების (მათ შორის - თანადაფინანსების) დამადასტურებელი საბუთი, ხოლო უფასო აკადემიურ პროგრამაზე სწავლის/ჩარიცხვის შემთხვევაში -

[1] სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ სწავლასთან დაკავშირებული/საყოფაცხოვრებო ხარჯის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს: ადმინისტრაციული რეგისტრაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო რესურსების შეძენა; ვიზის და ვიზასთან დაკავშირებული ხარჯები; სამედიცინო დაზღვევა; ტრანსპორტი; ბინა და კომუნალური გადასახადები; კვება (კვების ხარჯი ერთ აკადემიურ წელზე არაუმეტეს 15 000 ლარისა, სემესტრში არაუმეტეს 7500 ლარისა); სხვა ხარჯები, რომელთა მიზნობრიობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სსიპ შემოქმედებითი საქართველო. პროექტის დასრულების შემდეგ დაფინანსების მიმღებმა სსიპ შემოქმედებითი საქართველოს უნდა წარუდგინოს ხარჯვის დამადასტურებელი ყველა ფინანსური დოკუმენტი, გარდა კვების ხარჯისა.

სწავლის/ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი საიდანაც ასევე იკვეთება რომ სწავლა უფასოა.

3.2 კონკურსანტი უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი ან/და წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.

3.3 კონკურსანტს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენისას ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 5 (ხუთი) სამუშაო დღე. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

4.1 საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და აფასებს საკონკურსო კომისია.

4.2 საკონკურსო კომისიის მიერ, შეფასება მიმდინარეობს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით (მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა):

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და საკონკურსო დებულებით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0-15
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა)	0-10
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან	0-5
სულ		**30**

4.3 პროექტების შეფასების შედეგად საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ) პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

4.4 კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი გამოვლინდება საკონკურსო კომისიის ჯამური ქულების საფუძველზე. გამარჯვებულად ითვლება ის საკონკურსო პროექტ(ებ)ი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მიიღებს.. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც მეტ ქულას პირველი და მე-2 კრიტერიუმების შეფასებით დააგროვებს ქულათა უფრო მეტ რაოდენობას. თუ ორმა ან რამდენიმე საკონკურსო პროექტმა, ამ წესის შესაბამისად კვლავ დააგროვა თანაბარი ქულები, გამარჯვებული პროექტი გამოვლინდება კენჭისყრის საფუძველზე.

4.5 პროექტის დაფინანსების მიზნით საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს მოსთხოვოს კორექტირებული პროექტის წარმოდგენა. კონკურსანტი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს კორექტირებული პროექტი ,,კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის

მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (დანართი №3). კორექტირებული პროექტი განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ კონკურსანტი ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს კორექტირებულ განაცხადს, კომისია განუხილველად დატოვებს აღნიშნულ პროექტს.

4.6 საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან, დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

4.7 დასაფინანსებელი პროექტის/პროექტების შერჩევისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელ პირთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

4.8 პროექტის განმახორციელებელი პირის დასაბუთებული მომართვისა და პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის დადებითი პოზიციის შემთხვევაში, მინისტრი/სსიპ – შემოქმედებითი საქართველოს დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის გარეშე პროექტის სრული ან ნაწილობრივი ღირებულების წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე

მუხლი 5. კონკურსის ვადები

5.1 საკონკურსო განაცხადები **მიიღება 2025 წლის 01 ივლისიდან 2025 წლის 15 ივლისის 18:00 საათამდე,** ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@creativegeorgia.ge

5.2 ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება სსიპ შემოქმედებითი საქართველოს სოციალურ გვერდებზე, **არაუგვიანეს 2025 წლის 12 აგვისტოსა.** ვადის გაგძელების შემთხვევაში, ინფორმაცია დამატებით ეცნობება ყველა კონკურსანტს.

დებულებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტაცია:

1. „კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანება;
2. განცხადება (დანართი 1)
3. წარმოსადგენი ინფორმაცია (განაცხადი) (დანართი 2.1 – 2.2)
4. დაზუსტებული ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი 3)
5. შესრულების ანგარიში (დანართი 4 - 4.1)